მარნეულის მუნიციპალიტეტის 2013–2017 წლებში განხორციელებული სამუშაოები

განხორციელებული პროექტები

მარნეულის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- ტურიზმის განვითარება.

სასმელი და სარწყავი წლით უზრუნველყოფა

✓მარნეულის მოსახლეობის წინაშე, წლების განმავლობაში მწვავე პრობლემას სასმელი წყლის უქონლობა წარმოადგენდა. ამ მიმართულებით ჩვენ გუნდს, მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. 2013 წლამდე მოსახლეობის მხოლოდ 15%–ს მიეწოდებოდა სასმელი წყალი.

✓ 2013–2016 წლებში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა 53 სოფელში. დღეისათვის მოსახლეობის 85% უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. ამისთვის კი საკმაოდ მასშტაბური პროექტები განხორციელდა. (როგორიცაა ჭაბურღილის მოწყობა, წყლის საქაჩი ტუმბოების მონტაჟი, სისტემის რეაბილიტაცია, რეზერვუარების მონტაჟი, მილგაყვანილობის მოწყობა და ა.შ.)

- სულ განხორციელდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და მონტაჟის 146 პროექტი;
- სასმელი წყლის სისტემის მოწყობის მასშტაბური პროექტები განხორციელდა ისეთ სოფლებში, როგორიცაა: დამია–გეურარხი, ახლოლალო, ქვემო სარალი და კიროვკა და სხვა სოფლები (ჯამში 11 სოფელი), სადაც ამ დრომდე სასმელი წყალი არასოდეს ჰქონიათ.

<u>სარწყავი არხები</u>

- ბოლო სამი წლის განმავლობაში რეაბილიტირდა და გაიწმინდა ასობით სარწყავი წყლის მილი, როგორც საქართველოს მელიორაციის სამსახურის, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.
- მუნიციპალიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობს სარწყავი სისტემების, როგორც გაწმენდითი, ასევე, აღდგენითი სამუშაოები, რის შედეგადაც დღეის მდგომარეობით მარნეულის მუნიციპალიტეტში ირწყვება 11 300 ჰა მიწის სავარგული. **მოწესრიგდა - 558,91 კმ სარწყავი არხი და შეკეთდა 126 ერთეული ჰიდროტექნიკური ნაგებობა.**
-

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება 2013 – 2016 წლებში

- **მოასფალტდა** – 63 787 გრძ/მეტრის გზა
- **მოიხრეშა** – 71 100 გრძ/მ გზა

- ✓ 2013-2016 წლებში **გზის მოხრეშვითი** სამუშაოები ჩატარდა 50 სოფელსა და ქ. მარნეულის 5 ქუჩაზე
- ✓ **მოასფალტდა ქ. მარნეულის 41 ქუჩა და მუნიციპალიტეტის სოფლები,სადაც განხორციელდა გზის მოასფალტების 68 პროექტი**

გზის მოასფალტების მასშტაბური პროექტები განხორციედა შემდეგ სოფლებში:

- **სოფელი წერეთლში**
- **სოფელ კასუმლოში**
- **სოფელ დამიაგეურახში**
- **სოფელ თამარისში**
- **სოფელ კირიხლოში**
- **წერეთელი-მირზოვკა-მუღანლო-ქესალოს გზის 22 კმ–იანი მონაკვეთი**
- **ბეგლიარში**

სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები

სულ 2013–2016 წლებში განხორციელდა:

- ➢ ბიბლიოთეკის მშენებლობა;
- ➢ 20 სპორტული მოედნების კეთილმოწყობა;
- ➢ 9 სკვერების კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ➢ გარე განათების 214 პროექტი;
- ➢ სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა 13–ვე საბავშვო ბაღში;
- ➢ სარიტუალო სახლების რეაბილიტაციის 20 პროექტი;
- ➢ რეაბილიტირებულ იქნა 6 ხიდი;
- ➢ განხორციელდა ნაპირსგამგრი სამუშაოები სოფელ გაჯისაქენდში საავტომობილო გზასთან; სოფელ ყულარში (ცხენსაშენთან) მდინარე ხრამის კალაპოტის კორექტირება.სოფელ პირველ ქესალოში, არსებული სატუმბი სადგურის დაცვის მიზნით.;

სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები

ნაპირსამაგრი სამუშაოები

გარემოზე ზემოქმედების დაცვის მიზნით მარნეულის მუნიციპალიტეტი სისტემატიურად ახორციელებს მუნიციპალიტეტში არსებული მდინარეებზე ნაპირსამაგრების მოწყობას:

- ➢ 2016 წელს მუნიციპალიტეტის თანხებით მდინარე მტკვარზე, სოფელ მეორე ქესალოს მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა 400,000 ლარის სამშენებლო სამუშაოები;

- ქ. მარნეულში, მდინარე ალგეთზე - 60,000 ლარის სამშენებლო სამუშაოები;
- ასევე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან განხორციელდა მდინარე მტკვრისა და მდ. დებედაზე ნაპირსამაგრების მოწყობის საპროექტო დოკუმანტაციის შესყიდვა, რომლის საპროექტო ღირებულებაც შეადგენს 60,000 ლარს.
- 2016 წელი– სოფ. გაჯისაქენდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 59575.33 ლარი
- 2016 წელი– სოფ. ყულარში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 140776.70 ლარი
- 2016 წელი– სოფ. მე–2 ქესალოში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 379407.26 ლარი
- 2016 წელი– ქ. მარნეულში, ქობულეთის ქუჩაზე მდ. ალგეთზე განხორციელდა ნაპირამაგრი სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 62955.86 ლარი

- 2016 წელის – სოფ. იმირი (გადაჭრილი გორა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 54812.78ლარი
- 2015 წელი– სოფ. გაჯისაკენდი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 59575.33 ლარი
- 2015 წელი –მარნეული, ს. ყულარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 140776.70 ლარი

გაზიფიცირება

- ბუნებრივი აირის მიწოდებას მარნეულის მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს შ.პ.ს. ,,სოკარ ჯორჯია გაზი“.
- 2012 წლამდე გაზიფიცირებული სოფლების რაოდენობა შეადგენდა 18, ხოლო ამ სოფლებში აბონენტების რაოდენიბა იყო 10300.
- 2012 წლიდან 2016 წლის ბუნებრივი აირის მიერთება მოხდა 30 სოფელში. სულ დაგვემატა 10500 აბონენტი, ამჟამად გაზი მიეწოდება მარნეულის მუნიციპალიტეტის 48 სოფელს, ხოლო აბონენტების რაოდენობა შეადგენს 23300. გარდა ამისა, 3 სოფელი გაზიფიცირდება ნაწილობრივ.
- მომავალ წელს, იგეგმება 6 ახალი სოფლის გაზიფიცირება, სადაც აბონენტების რაოდენობა შეადგენს 5000–ს.

მუნიციპალური ტრანსპორტის ავტოპარკის განახლება

- მარნეულის მუნიციპალიტეტი ეტპობივრად ანახლებს ავტოპარკს. 2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით შეძენილი იქნა სამი ახალი HIGER BUS, KLQ6770G მარკის ავტობუსის. თითოეული ავტობუსი გათვლილია 55 მგზავრზე. ავტობუსები აღჭურვილია ნახევრადრბილი სავარძლებით, კონდიციონერით და 2 ვიდეო კამერით, რომელიც სრულად აკონტროლებს სალონს.
- სოფელ წერაქვისა და სოფელ ახკერპისთვის შეძენილი იქნა 2 მაღალი გამავლობის ავტობუსი.
- მუნიციპალიტეტის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკი განახლდა 5 ახალი ავტომობილით. (ხუთივე შეიცვალა)

სკოლამდელი აღზრდა

სკოლამდელი აღზრდა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ პრიორიტეს წარმოადგენს

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 13 საბავშვო ბაღი და 6 სასკოლო მზაობის ცენტრი, რომელიც ემსახურება 2005 აღსაზრდელს.
2012 წლამდე ფუნქციონირებდა 9 ბაღი. დღევანდელ ხელისუფლებას მძიმე მემკვიდრეობა დახვდა მარნეულში. აბსოლიტურად ყველა საბავშო ბაღი სავალალო მდგომარეობაში იყო, სწორედ ამიტომ ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ყველა საბავშვო ბაღს, 2013 წლიდან დღემდე ჩაუტარდა რეაბილიტაცია თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.

ეფექტიანად დაიწო მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების რესურსის გამოყენება სფეროს გასავითარებლად: მაგ. სოფელ აღმამედლოში ჰუმანიტარული ორგანიზაცია ,,ქეა საერთაშორისო კავკასიაში''–ს მიერ დაიხარჯა 28000 აშშ დოლარი, ხოლო, სოფელ კაპანახჩში იაპონიისა და პოლონეთის საელჩოების მიერ –137900 აშშ დოლარი), 6 სკოლამდელი აღზრდის ცენტრი იქნა დაფინანსებული პოლონეთის საელჩოს მიერ 35787 ლარითა და 5040 ევროთი. ესტონეთის საელჩოს მიერ ჩატარდა საბავშვო ბაღის პერსონალის გადასამზადებლად ტრენინგები, რისთვისაც დაიხარჯა 2000 ევრომდე. თანამედროვე სასწავლო–მეთოდოლიგიური ინვენტარით აღიჭურვა სკოლამდელი დაწესებულებები, რამაც საშუალება მოგვცა გაუმჯობესებულიყო სწავლების მეთოდოლოგია.

სკოლამდელი დაწესებულებების მმართველი რგოლის წარმომადგენლებისა და აღმზრდელებისთვის ჩატარდა ტრენინგები მენეჯმენტსა და ბიუჯეტირებაში, გაიარეს მეთოდოლოგიური სწავლება სასწავლო პროცესში ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად, შესაბამისად, მიმდინარეობს შენობების ადაპტირება (ეწყობა პანდუსები).

ეზოებში მოეწო საბავშვო მოედნები, აშენდა 2 თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი სოფელ სადახლოსა და სოფელ ალგეთში, რომელიც გათვლილია 300 ბავშვზე და ექსპლოატაციაში შევა მიმდინარე წელს.

- უახლოეს მომავალში სოფელ აღმამედლოსა და სოფელ წითელსოფელში ფუნქციონირებას დაიწყებს საბავშვო ბაღები.
- იგეგმება სოფელ საიმერლოში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა რომლითაც ისარგებლებს 120 ბავშვი.

სასკოლო მზაობის ცენტრების გახსნა

– ცენტრების მიზანია 5–6 წლის სკოლამდელი ასაკის ბავშვების გონებრივი, ფიზიკური, ესტეტიკური აღზრდა, პრიორიტეტია არაქართულენოვანი ბავშვებისათვის ქართული ენის შესწავლა სასკოლო მზაობისათვის. მსგავსი პრაქტიკა უპრეცედენტო შემთხვევაა - ხიდი გაიდო საბავშო–ბაღებსა და სკოლას შორის მოზარდის განვითარების გარდამავალ ეტაპზე, რაც

ცალსახად საჭიროა ეთნიკური უმცერესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტში, სადაც ენობრივი ბარიერის საკითხი რეალურად არსებობს.
ასევე, ცენტრების ფუქნციონირების მიზანია მაღალი საზოგადოებირივი ინტერესი და ხელისუფლების მზაობა წარმოადგენს დანერგოს საუკეთესო პრაქტიკა მოზარდთა განათლებისა და განვითარების მიმართულებით, რაც ევროპის არაერთ სახელმწიფოში ადაპტირებული მეთოდია.
პროექტი განხორციელდა იაპონიისა და პოლონეთის საელჩოს, მარნეულის მუნიციპალიტეტისა და ა.ა.ი.პ „მარნეულის დემოკრატ ქალთა საზოგადოების“ ერთობლივი მონაწილეობით.

ჯანმრთელობა სოციალური დაცვა

- თვითმმართველობას სოციალური მიმართულებით შემუშავებული აქვს 20– ზე მეტი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ვეხმარებით, სხვადასხვა კატეგორიის ოჯახებს.
- 2016 წელს სოც.მიმართულებით დაიხარჯა 814 664 ლარი.

შშმ პირთა ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის საკითხი. მთავრობის მიერ შემუშავებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად მუნიციპალიტეტში გატარდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

1. 2016 წელს მოეწყო პანდუსები გამგეობის ადმინისტრაციულ შენობას და კულტურის სახლის შენობაზე.
2. ყველა ძირითადი სერვისი როგორიცაა კანცელარია, მოქალაქეთა მისაღები, სოციალური სამსახური თუ სხვა განლაგებულია გამგეობის პირველ სართულზე, იმისთვის რომ შშმპ-ისთვის გარემო იყოს ადაპტირებული.
3. საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში შექმნილია შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემო– პანდუსი და ინკლუზიური საპირფარეშოები.
4. 2014 წლიდან–დეღემდე სპეციალური ეტლი გადაეცა 28–მდე შშმ მოქალაქეს.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ახალი ობიექტების, კერძო დაწესებულებებისა და მოქალაქეთა მომსახურების შენობების მშენებლობაზე ნებართვის გაცემისას, ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს მოწყობის აუცილებლობას.
6. გამგებლის წარმომადგენლებს ტერიტორიულ ერთეულებში დაევალათ მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების აღწერა, მათ შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისა და ზუსტი სტატისტიკის შემუშავების მიზნით.

შშმ პირთა ხელშეწყობა

სოფელ ყიზილაჯლოში 2015 წლიდან ფუნქციონირებს სენსორული პრობლემების მქონე ბავშვთა ადრეული ჩარევის ცენტრი.

ცენტრი ორგანიზაცია „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოებისა“ ადგილობრივი ხელისფლების თანამშრომლობით დაარსდა, რომლის ანალოგიც საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს.

ცენტრში ამჟამად 25 ბენეფიციარი სწავლობს.

პროექტის მიზანს წარმოადგენს მხედველობისა და სმენის პრობლემების მქონე ბავშვთათვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა თანამედროვე მიდგომების დამკვიდრების გზით. ცენტრში დასაქმებულია 11 ადამიანი, აქედან კი 7 ადგილობრივი კადრია.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საჯარო ბიბლიოთეკა

მოქალაქეების სურვილის გათვალისწინებით და გამგებლის ინიციატივით, 2014 წელს ოქტომბერში, ქალაქ მარნეულის ცენტრალურ ქუჩაზე რუსთაველის #73ა–ში **2014 წლის 30 ოქტომბერს დაიწყო** თანამედროვე სტანდარტების მქონე ბიბლიოთეკის მშენებლობა.
ბიბლიოთეკის არსებობის მიზანია, მოემსახუროს ცოდნაზე, განათლებაზე ორიენტირებულ წიგნიერი, განათლებული და ლოგიკურად მოაზროვნე ახალგაზრდის ჩამოყალიბების საქმეს. უნდა აღინიშნოს, რომ მარნეულში მცხოვრებთ მსგავსი სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა არასდროს ჰქონიათ.
ბიბლიოთეკის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს მარნეულში სხვადასხვა ეთნოსების ინტეგრაციის ხელშეწყობას, კულტურული ურთიერთიერთობების გაღრმავებას და ტოლერანტული დამოკიდებულების განმტკიცებას.

აღსანიშნავია, რომ შენობაში განთავსებულია, როგორც საბიბლიოთეკო, ისე სამუზეუმო, კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის მიმართულების სივრცეები.

საერთო ჯამში ბიბლიოთეკის მშენებლობა/კეთილმოწყობისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 669 048 ლარი დაიხარჯა.

მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობა და ტურისტული ხედვა

მარნეულის მუნიციპალიტეტი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვითარდეს ტურიზმი და მარნეული გავაცნოთ მსოფლიოს როგორც მაგალითი, სადაც ერთად მშვიდობიანად თანაცხოვრობენ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები. გამომდინარე აქედან მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში ერთ–ერთი პრიორიტეტად შევიდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა/პოპულარიზაცია და ეთნო ტურიზმის განვითარება. ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს მუნიციპალიტეტი და გაგდადგმული გვაქვს რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები.

2015 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტებით განხორციელდა დაახლოებით 112 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, მათ შორის მართლმადიდებლური, გრიგორიანული, მუსლიმანური, რელიგიური ძეგლების ინვენტარიზაცია/კვლევა.

შესწავლილი იქნა გერმანული დასახლებები, რომლებიც ახკერპისა და თამარისის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარეობს. ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს 81.

იმირის გადაჭრილი გორა

იმირის გადაჭრილ გორაზე ჩატარდა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური სამუშაოები. არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ქართველი ისე, უცხოელი არქეოლოგები.

გათხრების შედეგადაც აღმოჩნდა მრავალი ექსპონატი, რაც ადასტურებს, რომ 8000 წლის წინ მსოფლიოში პირველად, სწორედ ამ ადგილზე ადამიანმა მოაშინაურა ველური ვაზი და მისგან დაწურა ღვინო. იმირის გორაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნელი ვაზის რამოდენიმე წიპწა მიაკუთვნეს ვაზის სახეობას "vitis vinispera sativa"ვინაიდან აღმოჩენა მოფლიო მაშსტაბისაა მუნიციპალიტეტი ფიქრობს მასთან დაკავშირებულ სამომავლო გეგმებზე. კონკრეტულად კი, იგეგმება იმირს გორაზე, ღია სამუზეუმო სივრცის მოწყობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოეწყო სამუშაო შეხვედრა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასოციაცია „ქართული ღვინოს", ღვინის ეროვნული სააგენტოს, ქვემო ქართლის გუბერნიის, ადგილობრივი ხელისუფლების, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს, ეროვნული მუზეუმის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი ცენტრისა და არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელ პირებთან.

მუშავდება იმირის ღია მუზეუმის კონცეფცია, მიმდინარეობს ინვესტორების მოძიება , რათა იდეა განხორციელდეს.

მწვანე გორა

მწვანე გორაზე ინტენსიურად მიმდინარეობს არქეოლოგიური სამუშაოებისულ ქართული და ამერიკული მხარის ერთობლივი ძალისხმევით. მწვანე გორა– ეს არის გვიან ბრინჯაოს ადრეული რკინის ხანის გორა ნამოსახლარი. ჩატარებული ანალიზების (C-14) საფუძველზე გორა დათარიღდა ძვ.წ.აღ VIII-VII საუკუნით, იგი 3000 წლის წინანდელია. არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინეს რკინის წარმოების კვალი. ასევე, აღმოჩნდა ათეულობით ქვის ურო, შენობა ნაგებობების კვალი იატაკის ფონით. დაფიქსირდა გალავნის ნაწილი, რომელიც მოყვება მთელს ბორცვს. აღმოჩენილ მასალაში არის რამოდენიმე ჭურჭელი, რომელსაც ანალოგი არ აქვს.

ძეგლთა დაცვის ღონისძიებები:

იმირის ძეგლის დაცვის მიზნით ჩატარდა ნაპირსამაგრის სამუშაოები, რადგან ძეგლის მახლობლად არსებული მდინარე შულავერას ადიდება საფრთხის წინაშე აყენებდა იმირის არქეოლოგიური ძეგლს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით არაერთი სამუშაო გატარდა ძეგლების დასაცავად, კონკრეტულად: დაიგო სოფელ წერაქვში ღვთისმშობლის სახელობის მონასტერთან მისასვლელი გზა, ბაზალტის დეკორატიული ფილებით (500 მეტრი) ქ. მარნეულის წმ. გიორგის სახ. ეკლესიას ჩაუტარდა რესტავრაცია.

კულუტურული ძეგლების მოვლა პატრონობისა და პოპულარიზიაციის მიზნით გარდა თვითმმართველობის მხრიდან გაწეული სამუშაოებისა ინტესნიურად ეწყობა დასუფთავების აქციები.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დღესთან დაკავშირებით მოეწყო დასუფთავების აქცია -გაგის ციხეზე და ეს არ არის ყველაფერი რასაც თვითმმართველობა ანხორციელებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის მიზნით.

ტურიზმი
ეთნო ტურიზმის განვითარება

ვინაიდან მუნიციპალიტეტს აქვს მრავალი კულტურული ძეგლი და მრავალფეროვანი გარემო, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები და სხვა ეთნოსის წარმომადგენლები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ ერთად, დაიბადა ეთნო ტურიზმის განვითარების იდეა, ამასთან მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა მეტად მომგებიანი ამ თვალსაზრისით.
2017 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში შევიდა ცვლილება და ერთ–ერთ პრიორიტეტად ჩაიწერა ეთნო ტურიზმის განვითარება. ეთნო ტურიზმის იდეა გულისხმობს აქ ჩამოსული ტურისტები ეზიარონ, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსის (ქართული, აზერბაიჯანული, სომხური და სხვა) ტრადიციებსა და კულტურას.
ტურისზმი განვითარებისთვის შემუშავებული გვაქვს მარშუტები და უკვე მივიღეთ რამდენიმე ტურისტების ჯგუფიც.

აღსანიშნავია ის, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტურისტული ხედვა ხელს შეუწყობს როგორც რეგიონის პოპულარიზაციას ასევე, ტურისტების შემოდინება კი ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

მარნეულმა ღვინის ფესტივალს პირველად უმასპინძლა

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტმა ქართული ღვინის კვირეულის ფარგლებში ღვინის ფესტივალს საზეიმოდ და გრანდიოზულად უმასპინძლა.

ქართული ღვინის დღე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით აღინიშნა.

მოეწყო : ღვინის გამოფენა/დეგუსტაციები, პრეზენტაციები, ღვინის ტურები, კინოჩვენება და სხვა.

საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება

მასშტაბური ინვესტიციები

2012 წლიდან საქართველოში საინვესტიციო და ბიზნეს გარემო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა

მარნეულის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა ძალზე ხელსაყრელია სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის. ამასთან, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა ეყრდნობა ეკონომიკური თავისუფლების და საკუთრების უფლების განუხრელ პატივისცემას და დაცვას.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტში გამჭვირვალე და უსაფრთხო, ხელსაყრელმა სამეწარმეო და საინვესტიციო გარემომ მნიშვნელოვნად იმოქმედა

მწარმოებლურობაზე, ამის შედეგია ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში განხორციელებული მსხვილი ინვესტიციები, როგორიცაა:

- **სამაცივრე კომპლექსი შპს „აგროინვესტ 146“ (მარნეულის მუნიციპალიტეტი)** სამაცივრე საწყობი მარნეულის გზის მარცხენა მხარეს 2 ჰექტარ ფართობზეა განლაგებული. საერთო ღირებულება 7 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ქართულ–აზერბაიჯანული ინვესტიცია. კომპლექსი მოემსახურება ქვემო ქართლის რეგიონს.
- **ქართული მატყლის კომპანია (მარნეულის მუნიციპალიტეტი)** 2014 წელს შექმნილი შპს ,,ქართული მატყლის კომპანია“, რომელიც წელიწადში დაახლოებით 600 ტონა მატყლს აგროვებს და ახორციელებს ექსპორტს ინდოეთსა და უკრაინაში. საწარმოში დასაქმებულია 15 ადამიანი.
- **ჩინური სათბურები** – ჩინეთთან ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში აშენდა სადემონსტრაციო მზის სათბურები – მარნეულის მუნიციპალიტეტში.ჩინურმა კომპანიამ „ჰუნანის სოფლის მეუნეობის ჯგუფმა“ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კუთვნილ 5 ჰექტრამდე მიწის ფართობზე მზის სათბურები, ერთსივრციანი სათბურები და სხვა დამხმარე ნაგებობები ააშენა. კომპლექსი ჯამში 7 დიდ და 25 პატარა სათბურს აერთიანებს. მოეწყო ორი ტიპის სადემონსტრაციო ფართობი ბოსტნეულის წარმოებისათვის. ქართველი ფერმერები და ტექნიკოსები ბოსტნეულის წარმოების ტექნოლოგიის შესახებ ტრენინგებს ჩინეთში გაივლიან. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში სასათბურე მეურნეობების განვითარების და ბოსტნეულის წარმოების ზრდის ხელშეწყობას. პროექტი დაფინანსებულია ჩინეთის მთავრობის მიერ და მისი ჯამური ღირებულება 20 მილიონ იუანს (RMB) შეადგენს. სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, რომ პროექტი საქართველოში სასათბურე მეურნეობების განვითარებას შეუწყობს ხელს.
- **თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი 500 კვ–იანი ახალი ქვესადგური „მარნეული 500“** ღირებულება 20 მილიონი აშშ დოლარი.
- **ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა:** მიმდინარეობს 220/110კვ. ქვესადგურის „მარნეული“ გაფართოება 500კვ ფრთით, რომელიც 2014 წელს დაიწყო და 2016 წლის ბოლომდე დასრულდება. პროექტის ღირებულება 17,4 მლნ აშშ დოლარი და 4,3 მლნ ლარია. შედეგად, შესაძლებელი გახდება აღმოსავლეთ საქართველოს დამატებითი ელექტრო მომარაგება, გაიზრდება საქართველოს მთელი ენერგოსისტემის საიმედოობა და ხელი შეეწყობა ელექტროენერგიის ექსპორტს/იმპორტს/ტრანზიტს და მეზობელ ქვეყნებთან რეგიონალურ სავაჭრო ურთიერთობებს.
- **დასრულდა „დებედა ჰესის“** მშენებლობა, რომლის დადგმული სიმძლავრე 3.4 მგვტ–ია, ხოლო წლიური გამომუშავება 10 მლნ კვტ. საათს შეადგენს. საინვესტიციო ღირებულებამ 4.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.
- გაიხსნა შპს ,,ავერსის მულტიპროფილური კლინიკა" მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის მშენებლობა, რომელიც მიმდინარე წლის აპრილის თვეში დასრულდა, 5 სართულზეა განთავსებული. ცენტრში ფუნქციონირებს შემდეგი დეპარტამენტები: ER - გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების დეპარტამენტი; რეანიმაცია; მოზრდილთა სტაციონარი; ბავშვთა სტაციონარი; სამეანო-გინეკოლოგიური დეპარტამენტი; კეთილმოწყობილი პალატები 100 საწოლზე; ქირურგიული დეპარტამენტი: 3 საოპერაციო დარბაზით; ფუნქციურ-დიაგნოსტიკური დეპარტამენტი (ექოსკოპიის და რენტგენის

კაბინეტები, კომპიუტერული ტომოგრაფია, ლაბორატორია); აღსანიშნავია, რომ კლინიკაში დასაქმებულია 300 მდე თანამშრომელი, მათ შორის 160 ადგილობრივი კადრია.

- **გაიხსნა საზოგადოებრივი ცენტრი სოფელ სადახლოში,** რომელიც მოემსახურება 1500 მოქალაქეს. მოქალაქეებს საშუალება აქვთ ისარგებლონს უფასო ინტერნეტით;
- კომპიუტერებით;ელექტრონული ბიბლიოთეკით; საკონფერენციო დარბაზით და ვიდეო კონფერენციის აპარატურით; მატ შეუძლიათ ისარგებლონ 200-ზე მეტი კერძო და საჯარო სერვისის მომსახურებით; დასაქმდა - 10 ადგილობრივი;
- სოფ. აღმამედლოში კერძო ინვესტიციით შპს „რაკინ ჯორჯია"-ს მიერ მოწყობილია 10ც. 1000კვ. მეტრიანი მზის ენერგიაზე მომუშავე სათბური,სრული საინვესტიციო ღირებულებულებით 200000აშშ დოლარი.დასაქმებულია 20 კაცი.
- მენაშენეების პროექტის ფარგლებში,**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ** ქ. მარნეულში , ახლადაშენებულ კორპუსში 50 ბინა შეიძინა და გადასცა დევნილებს.
- **სოფ.კაჩაგანში** კერძო ინვესტიციით მოეწყო 75 სულიანი მერძეული მიმართულების მსხვლფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმა, სრული ინვესტიცია 100000 აშშ დოლარი, დასაქმებულია 6 კაცი.
- **რძის მწარმოებელი სასოფლო** სამეურნეო კოპერატივების მხარდჭერის სახელმწიფო პროგრამით და თანადაფინასებით მოწყობილია კოპერატივ „ჩემი ოჯახი'-ს რძის გადამამუშავებელი საწარმო, საწარმო, სრული ინვესტიცია შეადგენს 150000ლარს, აქედან სახელმწიფოს მიერ, კოპერატივების განვითარების სააგენტოს გავლით შეძენილი და დამონტაჟებულია 100000 ლარის ღირებულების აღჭურვილობა, დასაქმებულია 16 კაცი.

<u>მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 37 მსხვილი ფერმერული მეურნეობა, რომელთა მიერ დაკავებული მიწის ფართობი საშუალოდ 20 ჰექტარს აღემატება.</u>

<u>მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2013 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს 150 მცირე, 82 საშუალო ზომისა და 6 დიდი სათბური.</u>

- **მოწყობილია ერთი სანერგე მეურნეობა** 2-ჰა-ზე, სრული ინვესტიცია 288000 ლარი, აქედან ნახევარი სახელმწიფოს მიერ არის დაფინასებული
- **სახელმწიფო პროგრამა ,,დანერგე მომავალი"** სახელმწიფო პროგრამით „დანერგე მომავალი": გაშენებულია 146 ჰა ხეხილის ბაღი, სრული ინვესტიცია 1030236 ლარი, აქედან სახელმწიფომ დააფინანსა 623537 ლარი;
- ინდუსტრიული ზეთის სახდელი ქარხანა, ფუნქციონირებს 2014 წლიდან, ქარხანა მოსახლეობიდან ყიდულობს გამოყენებულ ზეთს, ხდება მისი მეორადი გადამუშავება და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის შექმნა. ინვესტორია ვასილ ხახულაშვილი აზერბაიჯანულ კომპანიასთან ერთად, ჩადებულია 600000–800000 ლარის ინვესტიცია.
- 2013-2015წწ შპს ,,იდი" მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი, ქართულ აზერბაიჯანული ინვესტიცია,შპს–ს დირექტორი ნარგიზა მამედოვა
- „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი"–ს ფარგლებში განხორციელდა მარცვლეულის საშრობის მშენებლობა შპს ,,ლომთაგორა"–ს მიერ. დაფინანსდა 500 000 დოლარით.
- 2014-2017წწ შპს ,,მარნეული პლაზა" მრავალფუნქციური მარალსართულიანი საცხოვრებელი სახლი,ინვესტიცია;

- აზიის განვითარების ბანკის (ADB)წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების (კანალიზაციის განწმენდი ნაგებობების ჩათვლით) რეაბილიტაცია/მშენებლობა.ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა.აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაგეგმილია წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და გაფართოება. პროეტის განხორციელება დაგეგმილი–2017-2019
- **სოფელ თამარისში არსებული მარწყვის სასათბურე მეურნეობა**.აშენებულია 300 კვადრატული მეტრის ფართზე და რომელიც მოწყობილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. იგი ისრაელის საელჩოსა და კომპანია ,,ისრაგრინის" დაფინანსებით 2014 წელს აშენდა.
- დამი გეურახში არსებული პამიდვრის სასათბურე მეურნეობა
- ლომთა გორის მეურნეობა– მარნეულში გამოყვანილი ქართულის სპეციალური ჯიშის ხორბალი.

  - ✓ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 5 ერთეული მექანიზაციის ცენტრი
  - ✓ მუნიციპალიტეტში 7 ფერმერს გააჩნია 22 ტბორი, სადაც აწარმოებენ თევზის სხვადასხვა ნაირსახეობებს: თეთრი ამური, კობრი, სქელშუბლა, ხრამული, საზანი. ასევე ფუნქციონირებს კომერციული სათევზაო მეურნეობა, სადაც დადგენილი კომერციული თევზჭერის პირობებით, შესაძლებელია თევზაობა, ტერიტორიაზე მოწყობილია შესაბამისი ადგილები დასასვენებლად.
  - ✓ დანერგე მომავალი და ,,აწარმოე საქართველო"–ში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სოფლის მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, როგორიცაა მესაქონლეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა ასევე, გაიხსნა მარცვლეულის საშრობი, პროდუქციის შესანახი მაცივრები და 113,32 ჰექტარზე გააშენა კაკლის, ხურმის, ვაშლისა და ტყემლის ბაღები.

<u>დასაქმება</u>

,,საქსტატი"–ს მონაცემით, 2013-2015 წლებში მუნიციპალიტეტში დარეგისტრირდა <u>2,020 საწარმოო სუბიექტი.</u>

2013 წლის მონაცემებით სხვადასხვა დარგსა და სფეროში დასაქმებულია 8 552 კაცი, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ასევე შპს–სა და ა(ა)იპ–ებში დასაქმებულია 864 ადამიანი, რაც მუნიციპალიტეტის შრომისუნარიანი მოსახლეობის 10,85%-ს შეადგენს. შრომისუნარიანი მოსახლეობის ძირითადი მასა დასაქმებული ან თვითდასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა 2009–2011 წლებიდან სტაბილურად იზრდება 6,7%-ით.

- ✓ 2011 წელს დასაქმებული იყო 7408, 2012 წ. – 7979,
- ✓ 2013 წ. - 8552 კაცი.

საგულისხმოა, რომ 2007 წელთან შედარებით (3894 დასაქმებული) 2013 წელს დასაქმება გაიზარდა 54,4%-ით. ასევე იზრდება დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება.

საერთაშორისო ურთიერთობები

ჩვენ მჭიდრო კავშირი გვაქვს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან და დიპლომატიურ კორპუსთან.

- 2016 წელს მჭიდრო კავშირები დამყარდა პოლონეთის პომერანიის სავოევოდოსა და მარნეულის მუნიციპალიტეტს შორის. რის შედეგადაც, პრაქტიკის გაზიარების მიზნით რამოდენიმე საქმიანი ვიზიტი განხორციელდა;

- 2016 მარნეულში სტუმრად იმყოფებოდა კობილნიცის გმინის მერი ლეშეკ კულინსკი მიზნობრივ დელეგაციასთან ერთად. მხარეებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს მმართველობითი ინსტიტუტების ფუნქციონირების, კულტურის, განათლების, სპორტის და გარემოს დაცვის საკითხებში;

- გვესტუმრა გერმანიის ელჩის. შეხვედრის მიზანს, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაცნობა წარმოადგენდა;
- ვუმასპინძლეთ „ვიშეგრადის“ წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლობით დელეგაციას;

- 2016 წლის 10–19 მარტს ვიზიტი განხორციელდა ისრაელის ქალაქ ეილათში, სადაც ჩატარდება ისრაელის მუნიციპალიტეტების ფინანსისტთა ასოციაციის (MFDA) ყრილობა. შევხვდით ისრაელის სხვადასხვა ქალაქების გამგებლებს და საფინანსო სამსახურის უფროსებს;

- 2017 წელს მარნეულის ადგილობრივ თვითმმართველობასა და პოლონეთის პომერანიის სავოევოდოს, კობილნიცას თვითმმართველობებს შორის ეკონომიკური განვითარებისა და პარტნიორული კავშირების ხელშეწყობის მიზნით ურთიერთანამშრომლობის მემურანდომი გაფორმდა.

- 2017 წლის 24 ივლისს, მარნეულის მუნიციპალიტეტს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, იან კელი, ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა. ვიზიტის ფარგლებში ელჩი, გამგეობაში ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებს, გამგებელს, მერაბ თოფჩიშვილს და საკრებულოს თავმჯდომარეს, ნაბი აბდულაევს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესები მიმოიხილეს და USAID-ის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

მყარი ნარჩნები

ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ერთ–ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას, სწორედ ამ დრომდე მოუგვარებელი მწვავე პრობლემა – ნარჩენების მართვის სერვისის დახვეწა წარმოადგენს. ამ მიმართულებით ადგილობრივმა ხელისფლებამ გაატარა მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- მუნიციპალიტეტში დაიდგა ნარჩენების სეპარირებისთვის განკუთვნილი ყუთები, რომელსაც სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე ხორციელდება.
- 2015 წელს, შეძენილ იქნა ნაგვის 44 კონტეინერი.

- 2016 წელს ორგანიზაცია „Agora Central Europe”-ს ხელმძღვანელმა, რომელიც მარნეულში ჩეხეთის გამოცდილების გაზიარების მიზნით იყო ჩამოსული ქალაქ მარნეულის საჩუქრად გადმოსცა 9 სანაგვე კონტეინერი, რომელიც ქ.მარნეულის ერთ–ერთ ქუჩაზე, ნაგვის ნარჩენების სეპარირების მიზნით მოეწყო.
- მიმდინარე 2017 წელს შ.პ.ს ,,მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელმა საწარმოს“ მიერ ქ.მარნეულში დაიდგა პოლიეთილენის ბოთლებისთვის სპეციალურად დამზადებული ურნები ლითონის კონსტრუქციის 15 ბადურა;
- 2016 წელს მუნიციპალიტეტს 2 ნაგავმზიდი მანქანა და ნარჩენების კონტეინერები გადმოეცა. საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის 2016 წლის 12 ივლისს გაფორმებული გრანტისა და სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველომ მყარი ნარჩენების მართვის პროექტისათვის მიიღო დაფინანსება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სახელმწიფომ, სსიპ-საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით, მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის შეისყიდა 2 კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა (20 და 13 კუბური მეტრის მოცულობის) და 100 ერთეული ნარჩენების კონტეინერები.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურები აქტიურად ჩაერთნენ ქვეყნის მოვლისა და დასუფთავების პროექტში და აქტიურად აწყობენ დასუფთავების აქციებს. მარნეული ჩაერთო ჯეოსელის აქციაში ახალი მობილური აპლიკაციის (Movla App) საშუალებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დანაგვიანებული ადგილების აღმოჩენისა და დასუფთავების შესაძლებლობას იძლევა.
- მარნეული ჩართულია საქართველოს მასშტაბურ დასუფთავების აქციებში, რომელიც პრემიერ მინისტრის ინიციატივით დაიწყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ა(ა).ი.პ „სუფთა მარნეულის“ მიერ მასშტაბური დასუფთავების აქციები დაიწყო. აქციის ფარგლებში სუფთავდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების დაბინძურებული ნაწილები, პლასტმასის ბოთლებისგან, პოლიეთილენის პარკებისა და სხვა სახის ნარჩენებისგან. დასუფთავების ღონისძიებები ასევე ხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმდებარედ, მდინარეების ნაპირებსა და სკვერებში;
- 2017 წელს გამგეობაში შეიქმნა მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლების ღონისძიებათა მონიტორინგის 13 წევრიანი კომისია, რომელიც მონიტორინგს უწევს დაბინძურებული ტერიტორიების დასუფთავებას;
- გარემოს დაბინძურების პრევენციული ზომების მიღების მიზნით , ადგილობრივმა თვითმმართველობამ მიიღო საკნონდმებლო ცვლილებები, კონკრეტულად კი 2017 წლის 10 ნოემბერს მარნეულის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში შევიდა ცვლილება მყარი ნარჩნების გადაყრასთან და არასწორ ადგილას განთავსებასთან დაკავშირებით ეს არის სამართალ დარღვევის საქმის წარმოება. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს და ან მის მიერ გამოყოფილ უფლება მოსილ პირს შეუძლია ადგილზე მიიღოს გადაწყვეტილება და მსგავსი ტიპის

სამრთლადარღვევისას დააკისროს სახდელი, ადგილზე შეუძლია შეუდგინოს ადმინისტრაციული სამართალ დარღვევის ოქმი. მოქალაქეს ეკისრება ფულადი ჯარიმა.

- 2015 წლის 12 მაისს, EBRD-ის ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნესფორუმის ფარგლებში „ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების პროექტის“ განხორციელების მიზნით, ხელშეკრულებები გაფორმდა. პროექტი მიზნად ისახავს ქვემო ქართლის რეგიონში (მარნეული) ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობას, მყარი ნარჩენების ტრანსპორტირებისა და ნაგავსაყრელის ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნიკის/აღჭურვილობის შეძენას. ახალი ნაგავსაყრელი მოემსახურება ქვემო ქართლის 5 მუნიციპალიტეტს (მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა). სასესხო და საგრანტო ხელშეკრულებებს ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხრიდან, EBRD-ის პრეზიდენტმა, სერ სუმა ჩაკრაბარტიმ. აღნიშნული პროექტი განხორციელდება შემდეგი ფინანსური მხარდაჭერით: - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) - 7 მილიონი ევრო შეღავათიანი სესხის სახით; - შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) - 3 მილიონი ევრო გრანტის სახით.

<u>მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები</u>

მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვიმთმმართველობა მაქსიმალურად უწყობს ხელს მოქალაქეთა ჩართულობას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, რაზეც მეტყველებს მოქალაქეთა ჩართულობის ახალი მექანიზმების დანერგვა და არსებულის კანონის შესაბამისად განხორციელება; მოგეხსენებათ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობა დემოკრატიული მმართველობის ერთ–ერთი აუცილებელი ომპონენტი და მისი შეფასების მთავარი ინდიკატორია. ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობისთვის, მნიშვნელოვან მექანიზმს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობა წარმოადგენს. მუნიციპალიტეტის საქმიანობის პროცესის გამჭვირვალობისა და დაინეტრესებული მხარეებისადმი უკეთესი ანგარიშვალდებულებებისთვის მნიშვნელოვანია თვითმმართველობის მიერ გაწეული საქმიანობისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

- მოქალაქეთა ინფორმირებულობისთვის უმნიშვნელოვანეს როლს მუნიციპალიტეტის ვებ–გვერდი <u>www.marneuli.gov.ge</u>, სოციალური ქსელი და F/<u>marneuli.gov.ge</u> და ადგილობრივი ტელევიზია ასრულებს;
- ასევე, მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით პოლონური გამოცდილების მაგალითზე დაინერგა ახალი მექანიზმი– სამოქალაქო ბიუჯეტი. ეს არის მექანიზმი, პროცესი, რომელიც მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებასა და ჩართულობას გულისხმობს ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვაში. პროექტის ინიციატორი გახლავთ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ფონდი „სხვა სივრცე“, და ა(ა)იპ „ერთიანი

კავკასია“; პარტნიორები კი არიან ადგილობრივ თვიმმმართველობათა ეროვნული ასოციაცია(ათეა), პროექტი დაფინანსებულია საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის მიერ პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით პროგრამის ფარგლებში „დემოკრატიის მხარდაჭერა“.

2015 წელს იყო საპილოტე პროგრამა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში მარნეულის მუნიციპალიტეტი არის პირველი, რომელმაც განახორციელა „სამოქალაქო ბიუჯეტი“ და საკამაოდ წარმატებითაც, რასაც ცხადყობს მიღებული შედეგები. პროექტისთვის ადგილობრივი საერთო ბიუჯეტიდან გამოიყოფა 5%, რაც შეადგენს 1 500 000 ლარს, რომელიც გამოიყენება მოქალაქეთა მიერ არჩეული პროექტების რეალიზაციისთვის.

2015 წელს შემოვიდა 49 საპროექტო განაცხადი და დაფინანსდა 34, საიდანაც 32 პროექტი უკვე დასრულებულია. 2016 წელს კი მივიღეთ 135 პროექტი, საიდანაც მოქალაქეთა მიერ არჩეულ იქნა 51 პროექტი, რომელიც განხორციელდება 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით.

სპორტი

2013 წლიდან დღემდე მუნიციპალიტეტში დამატებით განვითარდა 7 სპორტის სახეობა, 2013 წელს იყო 10 სახეობა, დღეის მდგომარეობით კი 17 სახეობაა.

კულტურა

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი “ერთიანი კავკასია”(ONE CAUCASUS) სოფელ წერაქვში 2014 წლიდან იმართება და ანხორციელებს მრავალფეროვან პროგრამას სამი მეზობელი კულტურის გადაკვეთაზე (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი).

ფესტივალის მიზანია – უსაფრთხო და თავისუფალი სივრცის შექმნა კავკასიაში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის. One Caucasus-ი თავს უყრის მუსიკოსებს, ხელოვანებს და სხვა მოხალისეებს, როგორც კავკასიის რეგიონიდან, ასევე მთლიანად მსოფლიოდან. One Caucasus-ი აქტიურად მუშაობს ადგილობრივ საზოგადოებასთან. პროგრამის ფარგლებში იქმნება საგანმანათლებლო პროგრამები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სოფლებში მცხოვრებთათვის მათი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

პროექტის პარტნიორები არიან:

- პოლონეთის კულტურის და ეროვნული მემკვიდრეობის სამინისტრო
- ქალაქ ვარშავას მერია
- მარნეულის მუნიციპალიტეტი გამგეობა
- ა.(ა)ი.პ „ერთიანი კავკასია“
- ფონდი „სხვა სივრცე“ (“Other Space Fundation“)

რელიგიური, სახალხო და საერო დღესასწაულები:

ვინაიდან მარნეული მულტიეთნიკური და მულტირელიგიური მუნიციპალიტეტია აღინიშნება როგორც ქრისტიანული, ისე მუსლიმანური დღესასწაულები. ერთმანეთის ურთიერთპატივისცემის ნიშნად, მუსლიმები მონაწილეობენ ქრისტიანულ დღესასწაულებში და ქრისტიანები პირიქით. ყოველთვის მასშტაბურად აღინიშნება როგორც სახალხო, ისე საერო დღესასწაულები.

კულტურა და ახლგაზრდობა

ბევრი მიღწევები აქვთ კულტურის ცენტრთან არსებულ შემოქმედებით კოლექტივებს, რომლებსაც არაერთი წარმატება აქვთ როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ. ესენია ქორეოგრაფიული სტუდიები, ხალხური სიმღერის ანსამბლები და მუსიკალური ბენდები.

2015 წელს სოფელ წერაქვში კვლავ აღვადგინეთ წლების წინ მივიწყებული დღესასწაული ჯავახიშვილობა, რომელიც 1991 წლიდან არ ჩატარებულა.

2016 წელს ვუმასპინძლეთ ქართველი მწერლის მ.ჯავახიშვილის სახელობის სახალხო თეატრების ფესტივალს, ქალაქ მარნეულში, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის რვა სახალხო თეატრი.

თვითმმართველობის მიერ, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა მწერლის სახლ–მუზეუმში.

კამპანია: შენი გულისთვის შენი უსაფრთხოებისთვის

მუნიციპალიტეტის გამგეობა და ა.ა.ი.პ „კულტურის ცენტრი“ შეუერთა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამას და ჩაერთო PR კამპანიაში „შენი გულისთვის შენი უსაფრთხოებისთვის“.

პროგრამის ფაგლებში მარნეულში ახალგაზრდების მიერ მოიხატა ქვეითთა გადასასვლელი და სკოლის მოსწავლეებისთვის მოეწყო სემინარი საგზაო უსაფრთხოებაზე.

სხვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტები

- ✓ პრიორიტეტულია, ქ. მარნეულში, ე.წ. „ელევატორის დასახლება“–ში ეკომიგრანტების 46 ოჯახის (დევნილის სტატუსი აქვთ მინიჭებული) საცხოვრებელი პირიბების გაუმჯობესება, რომლებიც 23 წლის წინ, ჯავის რაიონიოდან ჩამოასახლეს. მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა გეოლოგიური დასკვნის მომზადება და ტოპო გეგმების შედგენა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ხელმძღვანელობის ინფორმაციით ამ საკითხზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს,

რათა შესრულდეს ნაკისრი ვალდებულები, მუნიციპალიტეტთან მჭიდრო მუშაობის საფუძველზე.

- ✓ სოფელ შულავერში მდებარე აბრეშუმის (მატყლის) გადამამუშავებელი ქარხნის კორპუსებში (3 კორპუსი) შესახლებული 47 ოჯახი, რომელიც ამ ქარხნის მუშები იყვნენ, ითხოვენ ფართების დაკანონებას. აღნიშნული ფართი წარმოადგენს ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებას.
- ✓ ქალაქ მარნეულში კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება.

  აქვე გაცნობებთ, რომ აზიის განვითარების ბანკის (ADB) ფინანსური მხარდაჭერით იგეგმება წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების (კანალიზაციის განწმენდი ნაგებობების ჩათვლით) რეაბილიტაცია/მშენებლობის განხორციელება.

  პროექტს განახორციელებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ეს პროექტი აღმოფხვრავს აღნიშნულ პრობლემას.